


ელექტრული წრედების თეორია 2  
ელექტრული წრედების ანალიზი 2  
I სემესტრი. 2019-2020 წელი  
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

მოცემული წრედისათვის, რომელია დენის გამოსახულება?



Select one:

- a.  $I(P) = \frac{E}{R_1}$ ;
- b.  $I(P) = \frac{E}{R_1 + \frac{1}{PC}}$ ;
- c.  $I(P) = \frac{E}{R_1 + PL}$ ;
- d.  $I(P) = \frac{E}{PL}$ ;

Question 2

როგორი სახის ოთხპოლუსები არ არსებობს?

Select one:

- a. წრფივი და არაწრფივი
- b. ყველა ჩამოთვლილი არსებობს
- c. აქტიური და პასიური
- d. შექცევადი და არაშექცევადი

Question 3

რა შეიძლება გამოვიყენოთ თავმოყრილ და განაწილებულპარამეტრებიანი წრედების დაყოფის კრიტერიუმად?

Select one:

- a. ძაბვის (დენის) ელექტრომაგნიტური ტალღის სიგრძესა ( $\lambda$ ) და ხაზის სიგრძეს ( $l$ ) შორის თანაფარობა
- b. ძაბვის (დენის) სიხშირე
- c. ძაბვის (დენის) ამპლიტუდა
- d. ძაბვის (დენის) საწყისი ფაზა

#### Question 4

კომუტაციის მეორე კანონის თანახმად გარდამავალი პროცესის დროს წრედში არ შეიცვლება ნახტომისებრ:

Select one:

- a. დენი ტევადურ ელემენტში.
- b. ძაბვა ინდუქციურ ელემენტზე;
- c. ძაბვა ტევადურ ელემენტზე;
- d. დენი ინდუქციურ ელემენტში;

#### Question 5

A ფორმაში ჩაწერილი ოთხპოლუსას განტოლებებში მოკლემერთვის რეჟიმში პირველადი გამომყვანების მხრიდან კვების დროს ოთხპოლუსას შესასვლელი წინაღობა:

Select one:

- a. პირდაპირპროპორციულია  $\underline{C}$  და უკუპროპორციულია  $\underline{B}$
- b. პირდაპირპროპორციულია  $\underline{B}$  და უკუპროპორციულია  $\underline{D}$
- c. პირდაპირპროპორციულია  $\underline{A}$  და უკუპროპორციულია  $\underline{B}$
- d. პირდაპირპროპორციულია  $\underline{D}$  და უკუპროპორციულია  $\underline{B}$

#### Question 6

რომელი ტოლობა შეესაბამება პასიური ოთხპოლუსას T-ებრ ჩანაცვლების სქემას?

Select one:

- a.  $\underline{C} = -\underline{Y}_1 + \underline{Y}_2 - \underline{Y}_1 \cdot \underline{Y}_2 \cdot \underline{Z}_0$
- b.  $\underline{C} = \underline{Y}_1 + \underline{Y}_2 + \underline{Y}_1 \cdot \underline{Y}_2 \cdot \underline{Z}_0$
- c.  $\underline{C} = \underline{Y}_1 + \underline{Y}_2 - \underline{Y}_1 \cdot \underline{Y}_2 \cdot \underline{Z}_0$
- d.  $\underline{C} = \underline{Y}_1 - \underline{Y}_2 - \underline{Y}_1 \cdot \underline{Y}_2 \cdot \underline{Z}_0$